საქართველო
ხარაგაული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 50 245

16/08/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31–ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად №1 დანართის შესაბამისად.

2. ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად №1 დანართში მითითებულ საჯარო მოხელის საერთო და დამატებითი საკველიფიკაციო მოთხოვნები და ტესტირებისას მინიმალური გამსვლელი ზღვარი განისაზღვროს „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 15 აგვისტოს #50/244 ბრძანების შესაბამისად, ხოლო თანამდებობრივი ინსტრუქციები „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 21 იანვრის №50/19 ბრძანების შესაბამისად.

3. ვაკანტური თანამდებობის თაობაზე განაცხადის მომზადება და საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge)

მეშვეობით გამოქვეყნება უზრუნველყოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკონკურსო საატესტაციო კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

ინგა მაღრაძე



საკრებულოს თავმჯდომარე